ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #- M-11

ქ. თბილისი „20“ იანვარი 2020 წ.

ერთის მხრივ, შპს ,,საქართველოს ფოსტა'' (შემდგომში - ,,შემსყიდველი“), მისი ფინანსური დეპარტამენტის უფროსის ლაშა ჯაფარიძის სახით და მეორეს სს „ფრანს ავტო“(შემდგომში - ,,მიმწოდებელი“) მისი დირექტორის გიორგი ფალიანის სახით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს მე-13 ბრძანების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე აფორმებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში – ,,ხელშეკრულება“) შემდეგზე:

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტი

1.1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს: 21 ცალი ავტომანქანის ტექნიკური მომსახურების და ასეთი მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილებისა და საცხებ საპოხი მასალის შესყიდვა
CPV კოდი: 50100000.

1.2. მანქანის მოდელი,სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომერი, VIN კოდი და გამოშვების წელი მოცემულია ხელშეკრულების დანართ #1-ში, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.3. მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს პრეისკურანტის მიხედვით, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას დანართ #2 და დანართი #3 სახით და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 20000.00 (ოცი ათასი) ლარს.

2.2. პრეისკურანტის ჯამური ღირებულება შეადგენს **76659.00 (სამოცდათექვსმეტი ათას ექვსას ორმოცდაცხრამეტი) ლარს**

2.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

2.4. შემსყიდველი არ არის ვალდებული სრულად აითვისოს ხელშეკრულების ჯამური ღირებულება.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. შემსყიდველის უფლება აქვს:

3.1.1. შეამოწმოს შესყიდვის მახასიათებლების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

3.1.2. რაიმე ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, აცნობოს და მოსთხოვოს მიმწოდებელს ნაკლის დაუყოვნებლივ გამოსწორება.

3.1.3.მოითხოვოს მიმწოდებლისგან ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისერი შესრულება.

3.2. შემსყიდველი ვალდებულია:

3.2.1.უზრუნველყოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3.2.2.დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

3.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

3.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

3.4.1.უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულება.

3.4.2. შემსყიდველს მიაწოდოს ხარისხიანი შესყიდვის ობიექტი, რომელიც,სწორი ექსპლუატაციის ფარგლებში არ გამოავლენს დეფექტებს.

3.4.3. შესყიდვის ობიექტის გადაბარებისას, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებდამდე რაიმე ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი გამოსწორება (გაწიოს საჭირო მომსახურება და/ან ახალი შესყიდვის ობიექტის მიწოდება) არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში.
3.4.4.მიმწოდებელი ვალდებულია შესყიდვის ობიექტზე სწორ ექსპლუატაციის ფარგლებში გამოვლენილ ხარვეზებზე (სათადარიგო ნაწილებზე,გარდა სწრაფცვეთადი) გაავრცელოს გარანტია მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანკლებ 6 (ექვსი) თვის განმავლობაში. საგარანტიო ვადაში შესყიდვის ობიექტის რაიმე ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მისი გამოსწორება 2 (ორი) სამუშაო დღეში (გაწიოს საჭირო მომსახურება და/ან ახალი შესყიდვის ობიექტის მიწოდება), შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯების გარეშე.

მუხლი 4. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა
4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, შპს „სტრადა მოტორსი“-ს სერვისცენტრებში.
4.2. მომსახურების გაწევა განხორციელდება 2020 წლის 20 იანვრიდან- 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათლით შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში,ხოლო დეფიციტურ ნაწილებზე 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
5.1. მომსახურება მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული დეფექტური აქტის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომელიც დასტურდება მხარეების ან მათი წარმომადგენლების (უფლებამოსილი პირების) ხელმოწერით.
5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შპს "საქართველოს ფოსტა"-ს ტრანსპორტის მიმართულებით ხელმძღვანელი ირაკლი მენთეშაშვილი.
5.3. ხელშეკრულების 3.4 პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე და მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების შესრულება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე.

მუხლი 6. ანგარიშსწორება
6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.
6.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები.
6.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და შეწყვეტა
7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი ფორმით.
7.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
7.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
7.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

7.5. მხარე ვალდებულია 7.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
7.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 8. მხარეთა პასუხისმგებლობა
8.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
8.2. ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.02 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

მუხლი 10. დაუძლეველი ძალა
10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ თავისუფლდება ნაკირსი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.2. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული გარემოებების დასრულებისთანავე.

მუხლი 11. სადავო საკითხების გადაწყვეტა
11.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
11.2. თუ მხარეები მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მათი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით ხოლო საგარანტიო მომსახურების ნაწილში მე-3 მუხლის 3.4.4. პუნქტის შესაბამისად.
12.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 1(ერთი) თანაბარი ძალის მქონე ელექტრონულად დამოწმებულ ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„შემსყიდველი“

შპს "საქართველოს ფოსტა"
ს/კ: 203 836 233
მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი #2
ტელ: (032) 234 59 76
ს.ს. „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის # GE13BG0000000123286800GEL

ლაშა ჯაფარიძე

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

„მიმწოდებელი“

სს „ფრანს ავტო“;
ს/კ 236098165
მის: ქ.თბილისი, ჯორჯ ბალანჩინის 34
ს.ს. „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის #№ GE25BG0000000254559400

გიორგი ფალიანი

დირექტორი

RENAULT
Passion for life

Digitally signed by George Paliani
Date: 2020.01.20 14:39:54 +04'00'

დანართი #1

მარკა	სახ.ნომ.	ვინ.კოდი	გამ.წელი
რენო დასტერი 1.5დ	BB630BC	VF1HJD40864034642	2019
რენო დასტერი 1.5დ	BB631BC	VF1HJD40664034641	2019
რენო დასტერი 1.5დ	BB632BC	VF1HJD40264034636	2019
რენო დასტერი 1.5დ	BB633BC	VF1HJD40064034635	2019
რენო დასტერი 1.5დ	BB634BC	VF1HJD40764034633	2019
რენო დასტერი 1.5დ	BB635BC	VF1HJD40564034629	2019
რენო-სანდერო 0.9	PP091FF	VF15SRA1464106747	2019
რენო-სანდერო 0.9	PP092FF	VF15SRA1464106748	2019
რენო-სანდერო 0.9	PP093FF	VF15SRA1464106752	2019
რენო-სანდერო 0.9	PP094FF	VF15SRA1464106755	2019
რენო-სანდერო 0.9	PP095FF	VF15SRA1464106785	2019
რენო-სანდერო 0.9	PP096FF	VF15SRA1464106757	2019
რენო-სანდერო 0.9	PP097FF	VF15SRA1464106758	2019
რენო-სანდერო 0.9	PP098FF	VF15SRA1464106770	2019
რენო-სანდერო 0.9	PP330FF	VF15SRA1464106647	2019
რენო-სანდერო 0.9	PP331FF	VF15SRA1464106648	2019
რენო-სანდერო 0.9	PP332FF	VF15SRA1464106650	2019
რენო-სანდერო 0.9	PP337FF	VF15SRA1464106652	2019
რენო-სანდერო 0.9	PP338FF	VF15SRA1464106653	2019
რენო-სანდერო 0.9	PP339FF	VF15SRA1464106654	2019
რენო-სანდერო 0.9	PP340FF	VF15SRA1464106746	2019

შემსყიდველი	მიმწოდებელი
შპს„საქართველოს ფოსტა“	სს „ფრანს ავტო“
_____	_____

დანართი №2

№	*სათადარიგო ნაწილების დასახელება*	**გარბენი**	**ერთეული ს ფასი**	**რაოდენობ ა**	**მომსახურეობი ს ფასი**
1	ხელის მუხრუჭის რეგულირება			0	40
2	საყრდენი დისკი წინა		450	1 კომპ.	60
3	შარავოი		95	1 ცალი	50
4	წყლის რადიატორი		950	1 ცალი	180
5	გაბარიტის ნათურა დიდი		10	1 ცალი	5
6	სამუხრუჭე სითხე 1 ლ		20	1 ლ.	30
7	ანტიფრიზი 1 ლ		20	1 ლიტრი	25
8	ფრეონი 100გ		22	100 გრ.	50
9	შეჭიდების ქურო დისკი კომპლექტი		640	1 კომპ.	350
10	მოჭიდების საკისარი		590	1 ცალი	350
11	თვლების ნახარის რეგულირება			0	50
12	შორს მაშუქი ნათურა		10	1 ცალი	5
13	ახლოს მაშუქი ნათურა		10	1 ცალი	5
14	გაბარიტის ნათურა პატარა		2	1 ცალი	5
15	უკანა ფარის ნათურა		3	1 ცალი	10
16	სალონის ნათურა		5	1 ცალი	5
17	სანისლე ფარის ნათურა ჰ 16		75	1 ცალი	10
18	სანისლე ფარის ნათურა ჰ 11		35	1 ცალი	10
19	საბურავის დისკის გასწორება მარტივი			1 ცალი	20
20	საბურავის დისკის გასწორება საშვალი			1 ცალი	30
21	საბურავის დისკის გასწორება რთული			1 ცალი	60

22	საბურავის ბალანსირება დაშლაწყობა			1 ცალი	15
23	საქარე მინის ვაიპერი უკანა		65	1 ცალი	5
24	საქარე მინის ვაიპერი წინა კომპ.		135	1 კომპ.	5
25	ელ ;სისტემის დიაგნოსტიკა				30
26	საბურავის შეკეთება მარტივი			1 ცალი	10
27	საბურავის შეკეთება საშვალი			1 ცალი	20
28	საბურავის შეკეთება რთული			1 ცალი	30
29	შესადუღებელი სამუშაო მარტივი				20
30	შესადუღებელი სამუშაო საშვალი				120
31	შესადუღებელი სამუშაო რთული				200
32	ელ; სისტემის შეკეთება მარტივი				40
33	ელ; სისტემის შეკეთება საშვალი				120
34	ელ; სისტემის შეკეთება რთული				200
35	უკანა შტანგა		360	1 კომპ.	35
36	უკანა შტანგის ვტულკა		75	1 ცალი	40
37	წინა გიტარის მოხსნადაყენება		420	1 ცალი	50
38	მაყუჩის გოფრე		90	1 ცალი	80
40	სტუპიცის საკისარი წინა		190	1 ცალი	70
41	წინა ამორტიზატორი		340	1 ცალი	50
42	უკანა ამორტიზატორი		300	1 ცალი	50
43	წინა ამორტიზატორის ბალიში		95	1 ცალი	50
44	უკანა ამორტიზატორიის ბალიში		95	1 ცალი	50
45	უკანა ამორტიზატორის ადბოინიკი		95	1 ცალი	50
46	წინა ამორტიზატორის ადბოინიკი		95	1 ცალი	50
47	ძრავის ბალიში		395	1 ცალი	80
48	დინამოს მოხსნა-დაყენება		2215	1 ცალი	160
49	ჰიდრავლიკის სითხე		25	1 ლიტ.	30
50	ჰიდრავლიკის ნასოსი		2840	1 ცალი	180
51	სტუპიცის საკისარი უკანა		190	1 ცალი	80
52	წინა გიტარის ვტულკა		60	1 ცალი	30
53	წინა ამორტიზატორის ბალიშის საკისარი		55	1 ცალი	50
54	ტორპედოს მოხსნა დაყენება				400
55	ფეჩის რადიატორი		540	1 ცალი	400
56	წინა სანისლე ფარი		250	1 ცალი	30
57	კოლოფის ბალიში		165	1 ცალი	35

58	წინა სტერჟინი		140	1 ცალი	30
59	უკანა სტერჟინი		140	1 ცალი	25
60	მაყუჩის სამაგრი რეზინის კროშტეინი		85	1 ცალი	30
61	ნაკანეჩნიკი		140	1 ცალი	30
62	უდარნი ტიაგა		140	1 ცალი	40
63	სავალი პოლუსი (ყუმბარა) კომპ		1280	1 ცალი	80
64	სიჩქარის კულისა		1360	1 ცალი	180
65	სიჩქარის კულისის ტროსების აღდგენა				250
66	მექანიკური კოლოფის დაშლა აწყობა				350
67	გასაღების პროგრამირება				250
68	კატალიზატორის დაჩიკი		540	1 ცალი	60
69	სიგნალი		85	1 ცალი	50
70	სიგნალის და შუქების ჩამრთველი სახელურის აღდგენა შეკეთება				50
71	კონდინციონერის რადიატორი		1180		160
72	კულაკ პავაროდი წინა		570	1 ცალი	80
73	კულაკ პავაროდი უკანა		490	1 ცალი	80
74	სამუხრუჭე სისტემის შეკეთება მარტივი				20
75	სამუხრუჭე სისტემის შეკეთება საშვალი				80
76	სამუხრუჭე სისტემის შეკეთება რთული				150
77	მშრალი ამორტიზატორის რეზინი წინა		65	1 ცალი	35
78	მშრალი ამორტიზატორის რეზინების აღდგენა			1 ცალი	25
79	მშრალი ამორტიზატორის რეზინი უკანა		65	1 ცალი	25
80	კატალიზატორი		4995		90
81	სიგნალის და შუქების (რუჩკა)		450	1 ცალი	40
82	უდარნი ტიაგის მტვერდამცავი		55	1 ცალი	60
83	გადაცემათა კოლოფის ქვედა ბალიში		165		35
84	კონდენციონერის კომპრესორი		2975	1 ცალი	180

85	კონდენციონერის კომპრესორის შეკეთება მარტივი				100
86	კონდენციონერის კომპრესორის შეკეთება საშვალი				250
87	კონდენციონერის კომპრესორის შეკეთება რთული				450
90	წინა ხიდის სალნიკი		150		30
91	წინა ხიდის მ/დ				160
92	წინა ბამპერის მ/დ				120
93	ყუმბარის მტვერდამცავი შიგნითა		105		80
94	ყუმბარის მტვერდამცავი გარეთა		95		70
95	უკანა ხიდის მოხსნა დაყენება				240
96	უკანა ხიდის საკისარი		180		30
98	უკანა ხიდის სალნიკი		135		20
99	კარდანი (ზბორში)		1480		80

პრეისკურანტის ჯამური ღირებულება შედგენს 37422.00 (ოცდაჩვიდმეტი ათას ოთხას ოცდაორი ლარი) ლარს

შემსყიდველი	მიმწოდებელი
შპს„საქართველოს ფოსტა“	სს „ფრანს ავტო“
_____	_____

დანართი №3

№	*სათადარიგო ნაწილების დასახელება*	*ერთეულის ფასი*	*რაოდენობა*	*მომსახურეობის ფასი*
1	ხელის მუხრუჭის რეგულირება		0	40
2	საყრდენი დისკი წინა	430	1 კომპ.	60
3	წინა ამორტიზატორის ბალიშის საკისარი	90	1 ცალი	50
4	წინა ამორტიზატორის ადბოინიკი	95	1 ცალი	50
7	ფრეონი 100გ	22	100 გრ.	50
8	შეჭიდების ქურო დისკი	690	1 კომპ.	300
9	მოჭიდების საკისარი	590	1 ცალი	300
10	თვლების ნახარის რეგულირება		0	30
11	შორს მაშუქი ნათურა	15	1 ცალი	5
12	ახლოს მაშუქი ნათურა	15	1 ცალი	5
13	გაბარიტის ნათურა (პატარა)	5	1 ცალი	5
14	გაბარიტის ნათურა (დიდი)	10	1 ცალი	5
15	სალონის ნათურა	5	1 ცალი	5
16	სანისლე ფარის ნათურა ჰ 16	75	1 ცალი	15
17	სანისლე ფარის ნათურა ჰ 11	35	1 ცალი	15
18	საბურავის დისკის გასწორება მარტივი		1 ცალი	10
19	საბურავის დისკის გასწორება საშვალი		1 ცალი	25
20	საბურავის დისკის გასწორება რთული		1 ცალი	50
21	საბურავის ბალანსირება დაშლაწყობა		1 ცალი	15
22	წინა მშრ. ამორტიზატორის სტერჟინი	55	1 ცალი	25
23	საქარე მინის ვაიპერი	135	1 კომპ.	5
24	უკანა საქარე მინის ვაიპერი	75	1 ცალი	5
25	კატალიზატორი	4325	1 ცალი	100
26	ელ; სისტემის პროგრამირება			250
27	საბურავის შეკეთება მარტივი		1 ცალი	10

28	საბურავის შეკეთება საშვალი		1 ცალი	30
29	საბურავის შეკეთება რთული		1 ცალი	50
30	შესადუღებელი სამუშაო მარტივი			20
31	შესადუღებელი სამუშაო საშვალი			80
32	შესადუღებელი სამუშაო რთული			200
33	ელ; სისტემის შეკეთება მარტივი			40
34	ელ; სისტემის შეკეთება საშვალი			120
35	ელ; სისტემის შეკეთება რთული			200
36	კონდენციონერის რადიატორი	1180	1 ცალი	160
37	აბს-ის დაჩიკი	350	1 ცალი	60
38	კონდენციონერის კომპრესორი	1880	1 ცალი	250
39	კონდენციონერის კომპრესორის შეკეთება მარტივი			60
40	კონდენციონერის კომპრესორის შეკეთება საშვალი			230
41	კონდენციონერის კომპრესორის შეკეთება რთული			350
42	კონდენციონერის მილის აღდგენა მარტივი		1 ცალი	40
43	კონდენციონერის მილის აღდგენა საშვალი		1 ცალი	100
44	კონდენციონერის მილის აღდგენა რთული		1 ცალი	160
45	სტუპიცის საკისარი წინა	190	1 ცალი	60
46	სტუპიცის საკისარი უკანა	180	1 ცალი	50
47	წინა ამორტიზატორი	270	1 ცალი	50
48	წინა ამორტიზატორის ბალიში	90	1 ცალი	50
49	უკანა ამორტიზატორი	220	1 ცალი	50
50	უკანა ბალკის ვტულკა	130	1 ცალი	80
51	შარავოი	85	1 ცალი	40
53	წინა გიტარის ვტულკა	50	1 ცალი	40
54	წინა მშრალი ამორტიზატორის რეზინი	65	1 ცალი	30
55	ტორპედოს მოხსნა დაყენება			400
56	ფეჩის რადიატორი	580	1 ცალი	400
57	ძრავის ბალიში	320	1 ცალი	70
58	ნაკანეჩნიკი	125	1 ცალი	25
61	უდარნი ტიაგა	130	1 ცალი	40

62	სიჩქარის კულისა	580	1 ცალი	140
63	სიჩქარის კულისის ტროსის აღდგენა			150
64	მექანიკური კოლიფის დაშლა აწყობა			350
65	გასაღების პროგრამირება			250
66	ძრავის ამთვლელი დაჩიკი	220	1 ცალი	40
67	კატალიზატორის დაჩიკი	450	1 ცალი	60
68	სიგნალი	90	1 ცალი	50
69	სიგნალის და შუქების ჩამრთველი სახელურის აღდგენა შეკეთება			60
70	სიგნალის და შუქების ჩამრთველი	430		40
71	კულაკ პავაროდა წინა	540	1 ცალი	80
72	სამუხრუჭე სისტემის შეკეთება მარტივი			20
73	სამუხრუჭე სისტემის შეკეთება საშვალი			100
74	სამუხრუჭე სისტემის შეკეთება რთული			150
75	გადაცემათა კოლოფის ქვედა ბალიში	165	1 ცალი	30
76	გადაცემათა კოლოფის ბალიში ზედა	195	1 ცალი	80
77	საწვავის ფრქვევანა	1120	1 ცალი	60
78	ჰიდრავლიკის ნასოსი	1280	1 ცალი	160
79	ჰიდრავლიკის სითხე	30	1 ლიტრი	30
80	ყუმბარა (კომპლექტში)	1285	1 კომპ.	80
81	ყუმბარის მტვერდამცავი	95	1 ცალი	70
82	ყინვის საწ. სითხე (საქარე მინის საწმენდი)	15	1 ლიტრი	0
83	საბურავის დისკის (კალპაკი)	135	1 ცალი	0
84	უკანა ხედვის სარკე ელ;	580	1 კომპ.	50
85	საქარე მინის საწმენდი (წყლის ამძრავი მატორჩიკი)	285	1 ცალი	80
86	საქარე მინის საწმენდის ამძრავი (მატორჩიკი)	475	1 ცალი	80
87	საქარე მინის საწმენდი მექანიზმი	570	1 ცალი	80
88	უკანა ხედვის სარკე მექანიკური	535	1 კომპ.	50
89	საწვავის ტუმბო	290	1 ცალი	120
90	ელ; ამძრავი	1980	1 კომპ.	80
91	ელ; ამძრავის (ჩოთქები)	420	1 კომპ.	20

92	ელ; ამძრავის (ბენდექსი)	235	1 ცალი	20
93	ელ; ამძრავის (ვილკა)	185	1 ცალი	20
94	ელ; ამძრავის (ავტომატი)	220	1 ცალი	30
95	ელ; ამძრავის (იაკორი)	365	1 ცალი	30
96	ელ; ამძრავის (ვთულკები)	280	2 ცალი	40
97	ელ; გენერატორი	1830	1 კომპ.	160
98	ელ; გენერატორის საკისარი	175	1 ცალი	60
99	ელ; გენერატორის (რელე)	195	1 ცალი	40
100	ელ; გენერატორის (ჩოთქები)	215	1 კომპ.	40
101	ელ; გენერატორის (იაკორი)	315	1 ცალი	60
102	ელ; გენერატორის (შკივი)	290	1 ცალი	40
103	ელ; გენერატორის დიოდი	210	1 კომპ.	60
104	კარის საკეტი მექანიზმი	775	1 ცალი	70
106	ელ; დროსელი	1285	1 კომპ.	180

პრეისკურანტის ჯამური ღირებულება შეადგებს: 39237.00 (ოცდაცხრამეტი ათას ორას ოცდაჩვიდმეტი ლარი) ლარს.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
შპს„საქართველოს ფოსტა“	სს „ფრანს ავტო“
_____	_____